ხელშეკრულება N 50/გ

მცხეთა 16 მარტი 2018 წელი

ერთის მხრივ, მცხეთის მუნიციპალიტეტი, შემდგომში „შემსყიდველი“, წარმოდგენილი მუნიციპალიტეტის მერის გიორგი კაპანაძის სახით და მეორეს მხრივ, შპს "დიო"; შემდგომში - მიმწოდებელი, წარმოდგენილი აღმასრულებელი დირექტორის - თამაზ დაუშვილის სახით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე;

1.ხელშეკრულების საგანი

1.1 მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის შენობისთვის ფარდა-ჟალუზების შესყიდვა. (CPV39515430).

2. მომსახურების შესრულების ვადა და ღირებულება

2.1 საქონლის მიწოდების ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან 2018 წლის 16 აპრილის ჩათვლით.
2.2 ხელშეკრულების ღირებულებაა 1200.00 (ერთი ორასი) ლარი.

3. ანგარიშსწორება

3.1 ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით ლარში, მიღება-ჩაბარების აქტის ან/და ანგარიშფაქტურის საფუძველზე.

4. მხარეთა უფლება – მოვალეობები

4.1 „მომწოდებელი" კისრულობს ვალდებულებას;
4.1.1 განახორციელოს საქონლის მიწოდება და მომსახურეობა ხელშეკრულებით ნაკისრ ვადებში, შესაბამისი ხარისხით;
4.2 „შემსყიდველი“ კისრულობს ვალდებულებას:
4.2.1 უზრუნველყოს თანხის ჩარიცხვა ხელშეკრულებით ნაკისრ ვადებში, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღეში.

5. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისას

5.1 თუ „მომწოდებელი“ არ ასრულებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს, „შემსყიდველი“ წერილობითი ფორმით აფრთხილებს და იცვას ხელშეკრულების პირობები.
5.2 ვალდებულების კვლავ შეუსრულებლობის შემთხვევაში „შემსყოდველს“ უფლება აქვს განიხილოს ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტის საკითხი.
5.3 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვნად ან არშესრულების და ვადაგადაცილების შემთხვევაში, „შემსყიდველი“ უფლებამოსილია „მომწოდებელს“ არ აუნაზღაუროს ხელშეკრულებით ნაკისრი ღირებულება და დააკისროს პირგასამტეხლო გასაწევი დარჩენილი ღირებულების 0,5%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.
5.4 იმ შემთხვევაში, თუ ხელშკრულების 5.3 პუნქტით გათვალისწინებული პირგასამტეხლოს ოდენობა მიაღწევს მთლიანი სახელშეკრულებლო ღირებულების 5%-ს, შემსყიდველს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება.

6. ხელშეკრულების პირობების კონტროლი

6.1 ხელშეკრულების პირობების კონტროლს განახორციელებს მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის, მატერიალურ ტექნიკური განყოფილების მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი გია ბროძელი.

7. ხელშეკრულების ძალაში შესვლა

7.1 ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერის დღიდან.

8. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა

8.1 ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულებაში დაფიქსირებული ფასები და უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

9. ფორს – მაჟორი

9.1 მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთ ვალდებულებათა სრულად ან ნაწილობრივ შესრულებაზე, თუ ეს შესრულება გამოწვეულია ისეთი გარემოებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალოდ ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე.

10. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

10.1 წამოჭრილი დავები ან აზრთასხადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნეს ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.
10.2 თუ „მომწოდებელი" და „შემსყიდველი" მოლაპარაკების დაწყებიდან 10 დღის განმავლობაში ვერ შესძლებენ მოლაპარაკების საფუძველზე გადაწყვიტონ დავა, მაშინ ნებისმიერ მხარეს შეუძლია მიმართოს სასამართლოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

11. სხვა პირობები

11.1 ამ ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი საკითხები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.
11.2 არცერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისიუფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის თანხმობის გარეშე.
11.3 ხელშეკრულება დგება ქართულ ენაზე. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

12. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

12.1 ხელშეკრულების მოქმედების ვადა 2018 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

13. მხარეთა რეკვიზიტები

შემსყიდველი	მომწოდებელი
მცხეთის მუნიციპალიტეტის მერია მის: ქ. მცხეთა, ანტიოქიის ქ.7 სახელმწიფო ხაზინა ხაზინის კოდი: TRESGE22 ა/ნ GE24NB 0330 1002 0016 5022 ს/კ 236099789 ტელ: 2512636	შპს "დიო" მის: თბილისი, საბურთალოს ქ.#55; ს/კ 201946573 თი ბი სი ბანკი TBCBGE22 ანგ. #GE72TB1959136080100001 ტელ: 2361112; 2362199 www.dio.ge Email: info@dio.ge
მცხეთის მუნიციპალიტეტის მერი გიორგი კაპანაძე	აღმასრულებელი დირექტორი თამაზ დაუშვილი

მცხეთა

16 მარტი 2018 წელი

ხელწერილი ინტერესთა კონფლიქტის შესახებ

ვადასტურებ, აღნიშნულ შესყიდვაში ჩემი მონაწილეობა არ ეწინააღმდეგება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის I თავის მე-8 მუხლით გათვალისწინებულ პირობებს (შპს „დიო“ ს/კ 201946573 ხელშეკრულება N50/გ).

მცხეთის მუნიციპალიტეტის მერი

გიორგი კაპანაძე

მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის
ეკონომიკისა და ქონების მართვისს ამსახურის,
მატერიალურ ტექნიკური განყოფილების
მეორადი სტრუქტურული
ერთეულის ხელმძღვანელი

გია ბროძელი